22.09.2023 წ. ქ. თბილისი

ბუღალტრული აღრიცხის, ანგარიშგებისა
და აუდიტის სამსახურს

„ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოგიდგენთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ბეტა“ 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, ვებგვერდზე "reportal.ge" გასასაჯაროვებლად.

შპს „ბეტა“ აღნიშნული კანონით დადგენილი პარამეტრების მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, და შესაბამისად, ანგარიშგება მოამზადა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ნორმების გათვალისწინებით.

დირექტორი _____ ლევან შერმადინი

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# „ ბეტა“

( ს/კ 232002588 )

## ფინანსური ანგარიშგება

## 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას 32ა. 22 სექტემბერი 2023 წ.

შინაარსი :


1. ფინანსური მდგომარეობა
2. საქმიანობის შედეგები
3. განმარტებითი შენიშვნები


## 1. ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 6553 | 282301 | 351698 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 601781 | 661915 | 563602 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 110791 | 30834 | 2469 |
| მარაგები | 9312 | 5372 | 1438 |
| მზა პროდუქცია | 0 | 0 | 0 |
| სხვა | 9312 | 5372 | 1438 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 8931 | 0 | 6374 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების  მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 141 | 0 | 141 |
| ძირითადი საშუალებები | 925688 | 829214 | 738038 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 0 | 0 | 0 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 1663197 | 1809636 | 1663760 |
| **ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 0 | 0 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 46889 | 56835 | 87616 |
| ანარიცხები | 118415 | 0 | 0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 2061 | 131 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 29131 | 0 | 0 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 856335 | 715534 | 595883 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 161908 | 284590 | 86167 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 4394 | 98335 | 32426 |
| სულ ვალდებულებები | 1219133 | 1155425 | 802092 |

## საკუთარი კაპიტალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 2000 | 2000 | 2000 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | 442064 | 652211 | 859668 |
| გადაფასების რეზერვი | 0 | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 444064 | 654211 | 861668 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 1663197 | 1809636 | 1663760 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 730815 | 980322 | 918488 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 1057254 | 0 | 0 |

# 2. საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 2324694 | 2132296 |
| საქონლის გაყიდვიდან | 0 | 0 |
| მომსახურების გაწევიდან | 2324694 | 2116380 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 15916 |
| გაყიდვების თვითღირებულება | 0 | 0 |
| საწყისი მარაგები | 0 | 0 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 2324694 | 2132296 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 0 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -226345 | -192305 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -115603 | -101618 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი | -100277 | -69062 |
| იჯარის ხარჯი | 0 | 0 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -2054962 | -1765406 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -2497187 | -2128391 |
| საოპერაციო მოგება | -172493 | 3905 |

**გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:**

| | | |
|---|---|---|
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | -42661 | -10326 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | 0 | 4421 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | -215154 | -2000 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 0 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | -215154 | -2000 |

**სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):**

| | | |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | -215154 | -2000 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 654211 | 861668 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 5007 | -205457 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 444064 | 654211 |

## 3. განმარტებითი შენიშვნები

**ზოგადი ინფორმაცია**

შპს „ბეტა“ რეგისტრირებულია 2004 წლის 03 სექტემბერს, საქართველოში.

საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #32ა.

საწარმოს 50-50 % წილის მფლობელნი არიან ფიზიკური პირები:

გელა ტალახაძე, პ/ნ 01024002948

მერაბ ჭიღლაძე, პ/ნ 38001001128

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ატვოსატრანსპორტო გადაზიდვებით მომსახურება (NACE კოდი 49410).

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკურ გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა **ქართული ლარი.**

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება **2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 იმავე წლის დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.** ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

## ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება სრულ პაკეტში წარმოდგინილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 01.01.2017 წ.

ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მარტო საწარმოს განზრახვას გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ, მის უწყვეტ საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც, მისი საქმიანობის უწყვეტობას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანასთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე: საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

აღრიცხვისას საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ელექტრონული ფორმით.

## სააღრიცხვო პოლიტიკა

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

ქვემოთ მოცემულია საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანამიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

## აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია

საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

ნავარაუდევია ან გამიზნულია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით:

ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში:

აქტივი არის ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარად მისი გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც;

ყველა სხვა აქტივი მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

ძირითადად გმოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;

დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმთორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია;

ყველა სხვა ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანად მიიჩნევს.

## ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

## შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარებისთვის საწარმო იყენებს დარიცხვის პრინციპს.

## შემოსავლების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში

მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები საქონლის/მომსახურების  რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება  და გადაეცემა მასზე საკუთრების უფლება,  მიუხედავად იმისა როდის განხორციელდება გადახდა მყიდველის მიერ.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება, როდესაც ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და  შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

## ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება ხდება, მაშინ, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვლდებულების ზრდასთან, და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

## გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლებიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად (რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საქართველოს საგადასახაო კოდექსში 2017 წლის 1 იანვრიდან შემოღებული ცვლილებით, რომელიც გულისხმობს მიღებული ავანსების დღგ-ით დაბეგვრას).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან,  მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.  აღნიშნული შეღავათი კომპანიებს

ფულადი სახსრების რეინვესტირების შესაძლებლობას აძლევს რაც ზრდა გავნითარების კარგი პერსპექტივაა.

## ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრები და მათი ექივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას რეზიდენტ ბანკებსა და კომპანიის სალაროში. კომპანიის ფულადმა სახსრებმა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022 წ.) საბანკო დაწესებულებებსა და სალაროში შეადგინა 6553 ლ.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის საქმიანობის შედეგად მისაღები თანხები. სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნის აღიარება ხდება გარიგების ფასის ოდენობით. რომელიც უპირობოა. გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარდება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანიას ყავს როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი მყიდველები, შესაბამისად მათდამი მოთხოვნები აისახება გამიჯნულად, ლ-ში, და ერთდროულად ლარსა და უცხოურ ვალუტაში, მწოდება/ანაზღაურების დღის კურსით. საანგარიშო წლის ბოლოს ხდება დებიტორული დავალიანებების გადაფასება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით.

საწარმოს დებიტორული მოთხოვნები მყიდველების მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022წ.) შეადგენს: 601781 ლ-ს.

საწარმოს დებიტორული მოთხოვნა ანგარიშვალდებულების და სხვ. პირთა მიმართ შეადგენს: 110791 ლ-ს.

დებიტორულმა დავალიანებამ მომწოდებელზე გადახდილი ავანსების მიხედვით შეადგინა: 0 ლ.

## დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებითი ,ღირებულების გადასახადი გადახდას ექვემდებარება საქონლის/მომსახურების მიწოდებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კოდექსით ნებადართული ჩათვლის გათვალისწინებით.

შპს „ბეტას" შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოდის საერთაშორისო გადაზიდვებზე, აღნიშნული მომსახურებ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის

უფლებით ( სსკ მუხლი 172), რის გამოც, საწარმოს ხშირად აქვს საგადასახადო აქტივი, რაც საშუალებას აძლევს დაზოგოს სახსრები საწარმოს განვითარებისათვის.

საწ-ს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022წ.) აქვს საგადასახადო აქტივი დღგ-ს სახით: 8931 ლ.

**სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

საწარმოში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების, და სხვა დანახარჯებს რაც გაწეულ იქნა მის მოცემულ ადგილამდე მოტანისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

საწრმო მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სასაქონლო -მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ როდესაც ისინი გაიყიდება/გაიხარჯება, შესაბამისი შედეგით აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საწარმოს მარაგების ნაშთმა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022წ.) - შეადგინა 9312 ლ.

*ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და ძ. საშუალებასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივების სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. ცვეთის დარიცხვა ძ. საშუალებაზე იწყება მაშინ, როდესაც დაიწყება მისი გამოყენება. ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი ექსპლოატაცია დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების აღსარიცხად დგინდება მათი სასარგებლო გამოყენების ვადა. მენეჯმეტი დარჩენილი სასარგებლო ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა, და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ამ აქტივებისგან სარგებლის მიღება. ამ ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების გადასანაწილებლად საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

| | |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 5% |
| ოფისის აღჭურვილობა | 15%-20% |
| სატრანსპორტო საშუალებები | 20% |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს, და, თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენ ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას.

ძირითადი საშუალებების შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სხვა სახის დანახარჯი რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვა/გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმოს მიერ ძ. საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, რომელშიც მისი აღიარება წყდება. საწარმოში ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

შპს „ბეტას" ძირითადი საშუალებების ღირებულება (ნარჩენი) 01.01.2021 წ. მდგომარეობით შეადგენდა - 829214 ლ.

2021 წლის განმავლობაში შეძენილ იქნა ძ. საშ. - 211998 ლ-ის ოდენობით

ძ. საშ.-ის გასვლა არ მომხდარა.

დარიცხულ იქნა ცვეთა - 115603 ლ.-ის ოდენობით,

ამრიგად, საწარმოს ძ. საშ-ების ნარჩენმა ღირებულებამ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022წ.) შეადგინა 825688 ლ.

## არამატერიალური აქტივები

კომპანიას გააჩნია არამატერიალური აქტივი, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის სახით.

საწარმოს არამატერიალური აქტივის ღირებულება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022წ.) რჩება უცვლელად: 141 ლ-ის ოდენობით.

## სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. მათი აღიარება თავდაპირველად ხდება საწყისი ღირებულებით.

საწარმოს ყავს როგორც რეზიდენტი, ასევე არარეზიდენტი მომწოდებლები. ვალდებულებები მათ მიმართ აისახება გამიჯნულად. არარეზიდენტ მომწოდებლებთან ანგარიშსწორება აღირიცხება უცხოურ ვალუტაში მოწოდება-ანაზღაურების დღის კურსებით. ამასთან, საანგარიშო წლის ბოლოს ხდება მათი გადაფასება ეროვნული ბანკის მიერ 31 დეკემბრისთვის დადგენილი კურსით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022წ.) კომპანიის სავაჭრო ვალდებულებებმა შეადგინა 46889 ლ.

მიღებული ავანსების სახით - 29161 ლ.

დარიცხულმა ვალდებულებებმა - 118415 ლ.

ვალდებულებამ ანგარიშვალდებული პირების მიმართ - 2061 ლ.

## სესხები და კრედიტები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების აღებასთან დაკავშირებით. საწარმო აღნიშნულ თავდაპირველ და შემდგომ ხარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგება-ზარალში რომელშიც ხდება მათი გაწევა.

საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022 წ.) აქვს სასესხო ვალდებულებები.

მათ შორის მოკლევადიანი სესხი - 856335 ლ.

გრძელვადიანი - 161908 ლ.

სხვა მოკლევადიანმა ვალდებულებებმა - 4394ლ.

## ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით, იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ასეთი ჩანაცვლება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალში.

## შემოსავლების და ხარჯების აღიარება

კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყაროა ავტოსატრანსპორტო გადაზიდვებით მომსახურება.

კომპანიის შემოსავალმა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2023წ.) შეადგინა ძირითადი საქმიანობიდან - 2324694 ლ.

საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ გაწეულ იქნა საწვავის, მივლინების, შრომის ანაზღაურების, დარიცხული ცვეთის, საბაჟოს, ავტობანების, დაზღვევის, ნებართვების, ავტოტრანსპორტის რემონტის, ტესტირების და სხვა საწარმოო და ადმინისტრაციული ხარჯები.

საწარმოს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საერთო -საწარმოო ხარჯებმა შეადგინა 2497187 ლ. კერძოდ,

სახელფასო ხარჯმა - 226345ლ.

მიწოდების ხარჯებმა - 212 ლ.

საერთო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა - 2054962 ლ.

დარიცხული ცვეთის ხარჯმა - 115603 ლ.

საპროცენტო ხარჯმა - 100227ლ.

## სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.

საწარმოს საანგარიშო პერიოდში ჰქონდა სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯები - 42661 ლ-ის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების შეჯერებამ აჩვენა, რომ, საწარმომ

საანგარიშო წელი დაამთავრა ზარალით, - 215154 ლ-ის ოდენობით.

## კომპანიის კაპიტალის აღრიცხვა

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და შედგენს 2000.00 ლ-ს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის (31.12.2022 წ.) კომპანიის მონაცემები:

გადაფასების რეზერვი-0.00 ლ.

სხვა რეზერვები და დაფინანსება - 0.00 ლ.

გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი - 442064 ლ.

საწარმოში, დივიდენდების განაწილება საანგარიშო პერიოდში, არ მომხდარა.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები.მხოლოდ, წინა წლის გარკვეული ხარჯების და შემოსავლების დაზუსტებამ გამოიწვია გაუნაწილებელი მოგების გაზრდა 5007ლ-ით.

## ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 22 სექტემბერს, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

შ.პ.ს. "ბეტა"

დირექტორი: _____ ლევან შერმადინი